ლელა სარალიძე
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

პოლიტიკური სიტუაცია შიდა ქართლში ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ

1922 წლის 20 აპრილს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი №2-ით ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში [1,78]. ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი დაპირისპირება გამოიწვია ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის, რომელთა უმეტესობა მკვიდრი ქართული მოსახლეობა იყო. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი მრავალი ქართული სოფლის ხელოვნური გაერთიანებით შეიქმნა. ასე მივიღეთ „სამხრეთ ოსეთი" ცენტრალურ საქართველოში [2, 17].

საქართველოს ძალით გასაბჭოების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება ამზადებდა პირობებს ოს სეპარატისტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. 1921 წლის 5 მაისს, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის პრეზიდიუმმა, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" რევკომის ფუნქციის განსაზღვრის მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება შიდა ქართლში სპეციალური კომისიის გაგზავნის შესახებ. გადაწყდა XI არმიის ორასი ცხენოსნისაგან შემდგარი ნაწილი ცხინვალში გაეგზავნათ. ოსებსა და ქართველებს შორის დამოკიდებულების მოსაგვარებლად, პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, ცხინვალში ამხანაგ ხუტულაშვილის გაგზავნასთან დაკავშირებით. იგი დაინიშნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად და სახალხო კომისრის მოადგილედ [3, 21]. აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორ ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების მესვეურები, თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი გართულება, რაც, ბუნებრივია, უკანონო ოლქის შექმნას მოჰყვებოდა.

ე. წ. „სამხრეთ ოსეთისთვის" ავტონომიის მინიჭების საკითხმა საბჭოთა მთავრობა თავიდანვე რთული ამოცანის წინაშე დააყენა, რაც ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული. გასარკვევი იყო რო-

მელ ტერიტორიაზე და რა სახის ავტონომია უნდა მიენიჭებინათ ოსებისთვის, რადგან შიდა ქართლი ოსებით დასახლებული ძირძველი ქართული მიწა იყო. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რევოლუციურ კომიტეტს, თავდაპირველად გაუჭირდათ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის მიერ ავტონომიის საკითხთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საბჭოთა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, ოსებისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით, რათა თავიდან აეცილებინა შიდა ქართლის რეგიონში მოსალოდნელი დაპირისპირებები, კონტრ-რევოლუციასთან, შპიონაჟთან, სპეკულაციასთან და ბანდიტიზმთან საბრძოლველად საგანგებო კომისია შექმნა. 1921 წლის 6 ოქტომბრით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარემ ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „ჩემს მიერ მიპოვებული მონაცემების მიხედვით, ცხინვალის რაიონში ურთიერთდამოკიდებულება ოსურ და ქართულ სოფლებს შორის ჯერ კიდევ არ არის დარეგულირებული. ადგილი აქვს ნებისმიერ პროვოკაციას. ორივე მხარე დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფება. განსაკუთრებით გაურკვეველია ურთიერთობები ქალაქის მაზრასა და ცხინვალის რევკომებს შორის, შესაბამისი რაიონები არ არის გამიჯნული. ხშირად ხდება გაურკვევლობები იმის საფუძველზე, თუ ვინ უნდა მართოს ესა თუ ის რაიონი, ნებისმიერი მოქალაქის ყოველი დაპატიმრება ამ ორი ხელისუფლების განხეთქილების ვაშლი ხდება. იგივე ხდება საქართველოს სამხედრო გზაზე კობის რაიონში. შეტაკებების საფუძველი ხშირად არის ის, რომ თავდასხმების დროს, ოსები ართმევენ ქართველებს თითქოსდა მოპარულ შინაურ პირუტყვს. ამ საკითხში ტყუის როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. საჭიროა მიღებულ იქნას რაიმე ზომები ასეთი მდგომარეობის ლიკვიდაციისთვის. მე შემოგთავაზებდით შექმნილიყო შერეული კომისია, თუნდაც ორი კარდინალური საკითხის დასარეგულირებლად: 1) ხელისუფლების გავლენის სფეროების გამიჯნვა და 2) შინაური პირუტყვის წართმევასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, თუ ცკ ისურვებს გავაკეთებ უფრო დაწვრილებით მოხსენებას. წერილს ხელს აწერს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე [4, 123].

შიდა ქართლში პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება ხელოვნურად შეკონწიწებული ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" საზღვრების უკანონოდ დადგენამ გამოიწვია. საქართველოს ძალით გასაბჭოების და საბჭო-

თა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში საბჭოთა მთავრობა საერთოდ არ იყენებდა ტერმინს – „სამხრეთ ოსეთი“, რასაც ადასტურებს 1921 წლის 9 აგვისტოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება, სადაც ნახსენებია, მხოლოდ გორის მაზრის ცხინვალის რაიონი. დადგენილებაში ვკითხულობთ: „ოცდახუთი სოფლის რევკომის წარმომადგენელთა ყრილობის შუამდგომლობის თანახმად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების მართვა-გამგეობის და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, დაადგინა: გორის მაზრის ცხინვალის რაიონში დაწესდეს ხუთი სათემო რევკომი შემდეგ ქვემოთ დასახელებულ სოფლებში: ა) ქვემო აჩაბეთში, ბ) ზემო აჩაბეთში, გ) დიცში, დ) ძარწემში, ე) ვანათში. ქვემო აჩაბეთის თემს შეადგენს სოფლები: დგვრისი, თამარაშენი, ზემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, კვერნეთი და მონასტერი. ზემო ნიქოზის თემს: ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, დვანი, ავნევი და ნული. დიცის თემს შეადგენს სოფლები: კოდი, არბო, ერედვი, ბჟოლეთი, ტირძნისი, მეღვრეკისი და ერგნეთი. ძარწემის თემს, სოფლები: ქემერტი, ხეითი, სვერი. ვანათის თემს – სოფლები: საცხენეთი, ბელოთი და აწყურისხევი. ამ დადგენილების ასლი გაეგზავნოს გორის მაზრის რევკომს და აგრეთვე რესპუბლიკის მთავარ მილიციის სამმართველოს სათანადო განკარგულების მოსახდენად“ [5, 14]. დადგენილებას ხელს აწერენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბესარიონ კვირკველია და ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილების გამგე გრ. გველესიანი.

ავტონომიური ოლქის შექმნას წინ უძღოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დასკვნა. მოხსენებით ბარათში, რომელსაც ხელი მოაწერეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ბესარიონ კვირკველიამ და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველმა ვ. ხახანაშვილმა, საკითხის დეტალური ანალიზის საფუძველზე აღნიშნული იყო, რომ ოსების რაოდენობა ქართულ სოფლებში იმდენად მცირეა, მათი ცალკე მაზრად გამოყოფაც კი შეუძლებელი ხდებოდა [6, 121]. მიუხედავად უარყოფისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის დასკვნამ, მაინც ერთგვარი გავლენა მოახდინა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე. კავბიურომ გარკვეულწილად კომპრომისული დადგენილება მიიღო, როცა ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“, რევოლუციური კომიტეტის მიერ მოთხოვნილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნაცვლად, ავტონომიური ოლქის სტატუსი მიანიჭა [7, 285].

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ დეკრეტი №2-ის გამოქვეყნებამდე, 1921 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, როდესაც გავრცელდა ხმები, რომ ცხინვალის რაიონი ქალაქითურთ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ხელისუფლებას უნდა გადასცემოდა, ოცი ქართული სოფელი: 1. კეხვი, 2. ქვემო აჩაბეთი, 3. ზემო აჩაბეთი, 4. არბო, 5. დიცი, 6. კორდი, 7. ქვემო ნიქოზი, 8. ავნევი, 9. ძარწემი, 10. დვგრისი, 11. ნული, 12. ზემო ხვითი, 13. ქვემო ხვითი, 14. ზემო ნიქოზი, 15. ყელქცეული, 16. ქემერტა, 17. ქურთა, 18. თამარაშენი, 19. ვანათი, 20. ცხინვალი, წინ აღუდგა ამ უსამართლო გადაწყვეტილებას და საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისგან კატეგორიულად მოითხოვა ძველ ადმინისტრაციულ, ანუ გორის მაზრის ფარგლებში დარჩენა. ამ ფაქტს გამოეხმაურა თვით ცხინვალის რევკომი, რომელიც ზედმიწევნით ფლობდა ინფორმაციას რაიონში არსებული დაძაბული სიტუაციის შესახებ და საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მოუწოდებდა დროებით შეეჩერებინა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისღვრა გარდაუვალი იქნებოდა. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1921 წლის ნოემბერში საქართველოს რევკომს წარუდგინა შუამდგომლობა, რომლითაც კატეგორიულად მოითხოვა ე.წ. „სამხრეთ ოსეთისთვის“ ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის საკითხის რევკომის მსჯელობიდან დროებით მოხსნა, ვიდრე არ მოწესრიგდებოდა დაძაბული ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებამ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში ცხინვალის მოსალოდნელი გადაცემის შესახებ, როგორც ქართველი, ასევე ოსი მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ცხინვალის რაიონის და ახლომახლო მდებარე ქართული სოფლების მცხოვრებნი კვლავ გორის მაზრის შემადგენლობაში ითხოვდნენ დარჩენას. მიუხედავად მოსახლეობის აღშფოთებისა, ჯერ კიდევ 1921 წლის 8 დეკემბერს, შერეულმა კომისიამ გამოიტანა დადგენილება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვრების დამტკიცების შესახებ. კომისიაში საზღვრების დადგენის დროს პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობებს ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ ზოგიერთი ქართული სოფლის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შესვლის წინააღმდეგ გაილაშქრეს კომისიის წევრებმა – შოტმა და ელერდოვმა, თუმცა კომისიის უმრავლესობამ მათი აზრი არ გაიზიარა. რადგან უკვე არსებობდა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის 1921 წლის 17 ნოემბრის დადგენილება, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური

ოლქის შექმნის შესახებ ცენტრით ცხინვალში, კომისიამ შესაძლებლად სცნო გაევლო სასაზღვრო ხაზი ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“ და გორის მაზრას შორის ცხინვალის და სოფ. ერგეთის ზევით, რის გამოც ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში, ცხინვალის გარდა მოექცა ქართული სოფლები: დგვირისი, თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ქემერთა, ზარცემი, სკვერი, ხეითი. მიუხედავად ასეთი სერიოზული დარღვევებისა, დადგენილებას ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საზღვრების შესახებ, კომისიის ყველა წევრმა მოაწერა ხელი. ამის შემდეგ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის 1921 წლის 17 ნოემბრის დადგენილების თანახმად, შერეულმა კომისიამ ყველა ეს მასალა იმავე წლის 11 დეკემბერს გადაუგზავნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საკითხი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ ცენტრით ქ. ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილი ფაქტი იყო. ცხინვალისა და მომიჯნავე ქართული სოფლების ე. წ. „სამხრეთ ოსეთისთვის“ უსამართლოდ გადაცემას, ბუნებრივია, მოსახლეობის არა ერთი პროტესტი მოჰყვა. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა დროებით უკან დაეხია და ანგარიში გაეწია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებისთვის.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, ასევე კომუნისტურმა პარტიამ თავიანთი დადგენილებით (კომპარტიის პლენუმის დადგენილება №39, 1921 წლის 12 დეკემბრის და საქ. რევ. კომიტეტის 1921 წლის 20 დეკემბრის №94), ქ. ცხინვალი (1804 წელს ცხინვალში ოსების 12 კომლი ცხოვრობდა, 1900 წ. -0, 1922 წ. - 623). ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად აღიარეს, მაგრამ ეს აღიარება პირობითი იყო და არა კატეგორიული. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებიდან ნათელი იყო, რომ ცხინვალის რაიონი იმ დრომდე, ვიდრე რაიონის ქართული მოსახლეობა არ მოისურვებდა შეერთებოდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქს, უნდა დაქვემდებარებოდა გორის მაზრის ხელისუფლებას.

1921 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს რევკომმა, მოისმინა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვრების გამომრკვევი შერეული კომისიის მოხსენება გორის მაზრაში შექმნილი ვითარების თაობაზე და მიიღო შემდეგი დადგენილება: 1. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური მხარის ადმინისტრაციულ ცენტრად ჩაითვალოს ქ. ცხინვალი, ავტონომიური ხელისუფლების იმ ტერიტორიაზე გავრცელებით, სადაც ოსები არიან დასახლებული, გარდა ჩასავლის საზოგადოებისა და კობის რაიონისა, რომელთაგან პირველი უნდა

დარჩეს რაჭის მაზრაში, ხოლო მეორე დუშეთის მაზრაში. 2. მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ავტონომიური ოსეთის საზღვრების დაწვრილებით გამოკვლევა საზღვრების გამომრკვევ არსებულ კომისიასთან ერთად. 3. იმ დრომდე, სანამ ცხინვალის რაიონის ქართული მოსახლეობის სულიერი მდგომარეობა შეიცვლება ქ. ცხინვალის რაიონის ავტონომიური ოსეთის ტერიტორიად მიჩნევის სასარგებლოდ, ქ. ცხინვალში და მის ირგვლივ არსებულ ქართულ სოფლებში, ძალაუფლება დატოვებულ იქნას სარაიონო რევკომის ხელში, რომელიც შედის გორის მაზრაში" [8, 123].

საბჭოთა საქართველოს მესვეურებმა, ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების გვერდის ავლით, შექმნეს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი და მის შემადგენლობაში სრულიად უკანონოდ შეიყვანეს 40 ქართული სოფელი და ერთი ქალაქი, სადაც 20. 000-მდე ქართველი ცხოვრობდა, ხოლო ოსების რაოდენობა 1.100 სულს შეადგენდა. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ (თავმჯდომარე გრ. გველესიანი, წევრები: დ. კარიჭაშვილი, ს. გიორგაძე) შეადგინა იმ ქართული სოფლების სია და სოფელთა ეროვნული შემადგენლობა, რომლებიც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით (№2) ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქს გადაეცა. ავტონომიური ოლქი ისე შეიქმნა, რომ საზღვრების საკითხი საბოლოოდ გარკვეული არ ყოფილა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საკითხის გადაწყვეტა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებასთან გარიგებით წყდებოდა, რომელსაც ფაქტიურად საბჭოთა რუსეთი კარნახობდა მისთვის სასურველ გეგმას [9, 358]. სრულიად საქართველოს ცაკ-მა შერეული კომისია გამოყო, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა ე. წ. „სამხრეთ ოსეთისათვის" სადავო ტერიტორიების საკითხის მოსაწესრიგებლად. კომისიამ მუშაობა მხოლოდ 1922 წლის სექტემბერში დაამთავრა. 1922 წლის 29 სექტემბერს მოწვეული იქნა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" პარტიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც მოისმინეს შერეული კომისიის წევრის ს. გაგლოევის მოხსენება: „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის საზღვრების განმსაზღვრელი კომისიის მიერ მუშაობის დამთავრებისა და ოლქის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ.

ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" უკანონო ავტონომიური ოლქის შექმნამ, შიდა ქართლში კიდევ უფრო გაამწვავა პოლიტიკური სიტუაცია. ადგილობრივი მოსახლეობა უარყოფითად შეხვდა ოლქის შექმნას, რადგან ეთნიკური განსხვევებულობა და საქართველოს მიწაწყალზე ოსების კომპაქტური დასახლება, მათთვის პოლიტიკური ავ-

ტონომიის მინიჭების არავითარ საფუძველს არ ქმნიდა, რადგან ტერიტორია, სადაც ოსები სახლობდნენ საქართველოს არ დაუპყრია და არც ამ ეროვნული უმცირესობებისთვის წაურთმევია. ეს მიწა-წყალი ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა, რომელიც გარკვეული პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, დროთა განმავლობაში ოსებმა დაიკავეს, როდესაც იქ ჩასახლდნენ.

პოლიტიკურ სიტუაციას ამწვავებდა ისიც, რომ ოსების მიერ, სრულიად უკანონოდ შექმნილი ოლქისთვის, თვითნებურად ხდებოდა საზღვრების დადგენა. 1922 წლის 2 ივლისს, ქალაქ ცხინვალში, სამხარეო პარტიული კომიტეტის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა კ. ჯატიევი, ნ. გასიევი (მდივანი), მიიღეს დადგენილება, რომლის ძალითაც ადმინისტრაციული ურთიერთობის თვალსაზრისით ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი გაიყო 3 კანტონად: 1) ჯავის, ცენტრით ჯავაში, 2) ცხინვალის, ცენტრით – ცხინვალში და 3) ქსნის ცენტრით – ახალგორში. თავის მხრივ, ცხინვალის კანტონში შედიოდა: ა) წუნარის, ბ) ყორნისის, გ) ოქონის, დ) ცხინვალის, ე) ორთევის, ვ) ბელოთის, ზ) ანდორეთის რაიონები.

ქსნის კანტონში – ა) ლეხურის, ბ) ახალგორის, გ) მონასტრის რაიონები. საბოლოო ჯამში ოლქი სამ კანტონად და 14 რაიონად იყოფოდა. დადგენილების მიხედვით, მმართველობის ორგანოები უნდა ყოფილიყო: ოლქის ცენტრში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სამ კანტონში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საკონტროლო აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებში – რაიონების აღმასრულებელი კომიტეტები. ჯავაში, ცხინვალში და ახალგორში რაიაღმასკომის ფუნქციები საკონტროლო აღმასრულებელი კომიტეტის ხელში გადადიოდა [10, 18].

მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, 1922 წლის 16 ივლისს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ალექსანდრე გეგეჭკორმა ოფიციალური წერილით მიმართა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს. წერილში ნათქვამი იყო: „ვადგენ რა ამასთანავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სპეციალური კომისიის მოხსენებას, ფაქტიური მასალით დასაბუთებულს და მიმაჩნია რა საჭიროდ, რომ ორ მეზობელ ერთა შორის ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ყოველივე უთანხმოება-კონფლიქტებს, ტერიტორიალურ ნიადაგზე აღმოცენებულს და დამყარდეს მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა, ვშუამდგომლობ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რა-

თა მიღებულ იქმნას ჯერჯერობით პრინციპიალური გადაწყვეტილება – გადასინჯულ იქნას დეკრეტი №2, რაც შეეხება იმ საკითხის დეტალურ გარკვევას, თუ რა ცვლილებანი იქნას შეტანილი ამ დეკრეტში, ეს მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს საკითხის განხილვა სპეციალურ კომისიაში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით" [11, 79].

საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, 1922 წლის 20 ივლისს, ერთიანი წესრიგის და უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, ვიდრე დეტალურად დამუშავდებოდა მწვავე საკითხი საზღვრების შესახებ, ქართველებითა და ოსებით დასახლებულ რაიონებში დროებითი დადგენილება მიიღო, რომლის თანახმად, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ადმინისტრაციული ერთეული შვიდ ყოფილ სოფლის საზოგადოებას შეიცავდა გორის მაზრაში: 1. ორთევის 2. ბელოთის, 3. ყემულთის, 4. ყორნისის, 5. როკის, 6. ჯავის, 7. წუნარისის. აღნიშნული ერთეულების ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადდა სოფელი ჯავა. საკითხი ორთევის, ბელოთის და წუნარის საზოგადოებებიდან ცხრა წმინდა ქართული სოფლის გამოყოფის შესახებ, გორის სამაზრო რევკომის დასკვნის თანახმად, საზღვრების გამომრკვევი კომისიის მუშაობის დამთავრებამდე ღიად იქნა დატოვებული. საუბარი იყო შემდეგ ქართულ სოფლებზე: ვანათი, ბელოთი, აწყურისხევი, საცხენეთი, ხაშურა, ხადურიანთ კარი, დვანი; ზემო ავნევი და ქვემო ავნევი, რომლებიც ცხინვალის რაიონს მიაწერეს. დადგენილების თანახმად, ოსთა პრობლემების ირგვლივ მუშაობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილება და მასთან დაარსებული სპეციალური მუდმივი კომისია ხელმძღვანელობდა.

საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილება სტატისტიკურ აღრიცხვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ, ძველი აღწერის მიხედვით, შედგენილი იქნა დეტალური ნუსხა ოსი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მთელ საქართველოში, რომელშიც ნაჩვენები იყო ყოველი სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა, დადგენილი იქნა პროცენტულად, როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობა. აუცილებელი გახდა ასევე, ოსი მოსახლეობის ახალი სტატისტიკური აღწერა ყველა იმ მაზრებში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ამასთანავე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება სიებში არ შეეტანათ ოსი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთაც მხოლოდ ოდესმე ჰყავდათ ოსი შთამომავლობის წინაპრები, რეალურად კი სავსებით გაქართველებულნი იყვნენ, როგორც ენით, სარწმუნოებით, ზნე-ჩვეულებით, კულტურით და სხვა ტრადიციებით. გარდა

ამისა, ისინი სრულიად არაფრით არ განსხვავდებოდნენ ქართველებისგან, რომლებთანაც ერთადაც იყვნენ ჭირსა და ლხინში და რაც მთავარია ყველა სფეროში ქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ ორიენტაციას იზიარებდნენ. ისინი თავიანთ თავს თვითონვე ქართველებად აღიარებდნენ, როდესაც მათ წინაშე ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი იდგა.

ადმინისტრაციული განყოფილება ჯერ კიდევ მუშაობის პროცესში იყო, როდესაც ცხინვალიდან ჩასულმა ოსთა დელეგაციამ საბჭოთა საქართველოს მთავრობის წინაშე კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი „სამხრეთ ოსეთის" ოლქისთვის ავტონომიური უფლების მინიჭებაზე, ასევე, ადმინისტრაციული საზღვრის დაწესებაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ოსებმა შუამდგომლობით მიმართეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (კავბიურო).

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისიის დასკვნაში დეტალურად იყო აღწერილი შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობა. №2 დეკრეტით გორის მაზრის მრავალი ქართული სოფელი თუ რაიონი უნდა მიეზომათ ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ოლქისთვის, რასაც ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება მოჰყვა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში არაერთი საჩივრის წერილი შევიდა, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა უფრო და უფრო მწვავდებოდა ძირძველი ქართული სოფლების ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქზე ხელოვნურად მიწერის გამო. უკმაყოფილების მიზეზი ძირითადად გამოწვეული იყო: ეკონომიკური მიზეზებით, ზნე-ჩვეულებათა სხვადასხვაობის, ენის უცოდინრობის, ხელისუფლების შეცვლით გამოწვეული მიმოსვლის გართულებით, კულტურული სხვაობით და სხვა მიზეზებით. ქართველი მოსახლეობა დაჟინებით მოითხოვდა გორის მაზრის ხელისუფლების ფარგლებში დარჩენას.

1922 წლის იანვარში საქართველოს შინსახკომს გადაეცა ქალაქ ცხინვალის ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა ერთობლივი დადგენილება, რომლითაც ისინი ცხინვალისა და მისი რაიონის თავის ბუნებრივ ისტორიულ საზღვრებში დარჩენას მოითხოვდნენ. მსგავსი მოთხოვნით გამოვიდნენ, ასევე, სოფელ ნედლეთის, ხუნდისუბნის, შინდარის, თიღვის, ალაბარის, საცხენეთის, ზემო და ქვემო ოქონის მცხოვრებნი. აღნიშნული სოფლები გომის რაიონს ეკუთვნოდა, რომელიც ყოველთვის უდავო ქართულ რაიონად ითვლებოდა და ქარ-

თველებით იყო დასახლებული. დეკრეტის მიხედვით, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვრებში მოყვა სოფლები თიღვა, ოქონა, სუნისი, ნაბაკევი, ტყისუბანი, შინდარისი, ნედლათი, ალიბარი, ახალშენი და ხუნდისუბანი. ამ სოფლების მცხოვრებთა საჩივარში ნათქვამი იყო: „სამხრეთ ოსეთის საზღვრის გავლების დროს მოვყევით მის ფარგლებში, რაც წარმოადგენს ეკონომიკური თვალსაზრისით დიდ უხერხულობას: 1. ცხინვალში სიარული არ გვეხერხება, ძველთაგან ჩვეულნი ვართ გომში, სურამში და გორში სიარულს, რომელთა ბაზრითაც ვსარგებლობდით მუდამ და სადაც საღდება ყოველი ჩვენი ნაწარმი; 2. ცხინვალის მხრის გზები იმდენად ძნელი სასიარულოა, რომ ყოვლად აუტანელია ჩვენთვის და ჩვენი საქონლისათვის; 3. დაწესებულებებში სიარულის დროს, ჩვენი საქმეებისა გამო, მიგვაქვს იმავე დროს გასასყიდლად ყოველი ჩვენი ნაწარმი და ამით ვიმატებდით სამუშაო დღეებს... დავადგინეთ: ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ოლქზე მიწერა გამოიწვევს ჩვენს დაღუპვას, კატეგორიულად მოვითხოვთ, რათა ჩვენი სოფლები დარჩეს გორის მაზრის ფარგლებში და მიეწეროს მახლობელ საციხურის თემს“ [12, 82].

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელზე მრავალი ისეთი განცხადებაც იყო შესული, რომლითაც სხვადასხვა რაიონებში მცხოვრები ოსები ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ რევკომისაგან ჩამოშორებას და ქართველებთან ერთად ცხოვრების სურვილს გამოთქვამდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ქართველებთან არაფერი ჰქონდათ გასაყოფი. 1922 წლის 12 მარტს სოფ. ხურვალეთის მცხოვრებლებმა ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნეს შინსახკომს: „ჩვენ ქვემო ჭალის რაიონის სოფლების: 1)ზემო ბაღების, 2)ქვემო ბაღების, 3) გუდიანთ კარის, 4) საღორეთის, 5) ჩანაანთ კარის, 6) მეტესმანის და 7) ღვდულეთის წარმომადგენლებმა დავადგინეთ: რადგანაც არწევის მე-3 რაიონის აღმასკომი ძალით მოითხოვს ამ სოფლების მცხოვრებთაგან მათთან შეერთებას ადმინისტრაციულად და ახდენს ჩვენს მიმართ სხვადასხვა განკარგულებებს, ჩვენ კი მათთან კავშირი არ გვსურს, უგზავნის დადგენილებას უმაღლეს მთავრობას, რათა მან წინადადება მისცეს მე-3 რაიონის სოფ. არწევის აღმასკომს (ოსური აღმასკომია), რომ იგი ჩამოგვეხსნას, რადგან ჩვენი ღრმა სურვილია ვექვემდებარებოდეთ ქვემო ჭალის რაიონის აღმასკომს (ქართული აღმასკომია), როგორც ეს მთავრობისაგან არის დაწესებული“ [12, 84]. დადგენილებას ხელს აწერდა ზემოთ დასახელებული სოფლების 14 წარმომადგენელი. მათ ხელმოწერას ადასტურებს ქვემო ჭალის აღმასკომის თავმჯდომარე საკუთარი ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით. დადგენილებას ამასთანავე ერთვოდა შემდეგი შინაარსის დამა-

ტება: „1922 წლის 13 მარტი, ქვემოჭალა. ჩვენ, ხურვალეთის თემის სოფ. წინაგარის მცხოვრებთა წარმომადგენელნი, ხუბულური და ბიჩანაშვილი (ოსებია), ჩვენი სოფლის მცხოვრებთა დავალებით, ვაცხადებთ სურვილს ზემოხსენებულ დადგენილებაში აღნიშნულ სოფლებთან ერთად შევუერთდეთ ქვემო ჭალის რაიონს, როგორც ვყოფილვართ მამაპაპურად, რადგან ასე უფრო ახლო და მოხერხებულია ჩვენთვის“ [12, 84]. ადგილობრივ მცხოვრებთა ხელმოწერებს ადასტურებდა ქვემო ჭალის აღმასკომის თავმჯდომარე. დოკუმენტიდან, რომელიც, ასევე, ასახულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოხსენებაში, ნათლად ჩანს, რომ რვა სოფლის ოსური მოსახლეობა დაჟინებით მოითხოვდა, რათა ქართველებისგან არ გამოეთიშათ და ქვემო ჭალის ხელისუფლების ქვეშ დაეტოვებინათ, რადგან ეს რვა სოფელი ეკუთვნოდა ისეთ უდავო წმინდა ქართულ ტერიტორიას, როგორიც იყო ხურვალეთის თემი. ამ რვა სოფელზე ძალაუფლების გავრცელებაზე, 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტის გამოცხადების შემდეგ, პრეტენზიას აცხადებდა არწევის ჩრდილოეთით მდებარე სოფლის აღმასკომი, სადაც ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მმართველობა ვრცელდებოდა.

1922 წლის 5 ივნისს სოფ. ძვილეთის მცხოვრებლებმა შემდეგი თხოვნით მიმართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს: „სოფ. ძვილეთი აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით გარსშემორტყმულია ქართული სოფლებით და ეს სოფლები და თვით ძვილეთი ეკუთვნიან ზემო ქართლს. წინათ დირბის საზოგადოებაზე ვიყავით მიწერილნი, ანუ შემდეგ დირბის თემზე, ახლა მიგვაწერეს სამხრეთ ოსეთის ოლქზე. ჩვენ პიტალო ქართველები ვართ, ოსური ენა სრულიად არ ვიცით; დირბის სასამართლო ჩვენგან სამ ვერსზეა, ხოლო თუ სამხრეთ ოსეთის ფარგლებში დავრჩით, მაშინ წუნარში 15 ვერსზე მოგვიხდება სიარული. ამასთანავე, სოფ. დვანის მდინარე ფრონე დიდია და ჩვენთვის ძალიან ძნელია იქ სიარული, ამიტომ გთხოვთ მიგვაწეროთ ისევ დირბის თემზე, გორის მაზრაზე“ [12, 83].

რაჭის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი, 1922 წლის 20 აგვისტოს, საქართველოს შინსახკომს ატყობინებდა: „რაჭის მაზრის ქართველი გლეხობის საბუთებით შეძენილი უძრავი ქონება, სახნავი, საძოვარი მიწები და ტყეები მოჰყვა სამხრეთ ოსეთის ოლქში და დღეს თითქმის სადავო ხდება ეს მათი საკუთრება, რადგან ამ ადგილებს ოსები თავიანთ საკუთრებად მიიჩნევენ ... გლეხობისათვის ტყით სარგებლობა იმ მხრითაც უხერხული ხდება, რომ ნებართვის ასაღებად ისინი ცხინვალში უნდა წავიდნენ, რომელიც 70 ვერსის მანძილზეა... აღმ. კომიტეტი თხოულობს: შეჩერებულ იქნას ოსეთის

ფარგლებში შეტანა იმ ტყეებისა, რომლებიც ქართველი გლეხების საკუთრებას შეადგენენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის მოსალოდნელია“ [12, 83].

ტყვიავის თემის სოფელ დისევის და კულბითის მოსახლეობა 1922 წლის 21 აგვისტოს განაჩენით სამართლიანად მოითხოვდა: „სამხრეთ ოსეთზე ჩვენი მიწერა არც ისტორიულად, არც გეოგრაფიულად, არც ეთნოგრაფიულად და არც ეკონომიკურად მიზანშეწონილად და სამართლიანად არ მიგვაჩნია, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩვენ ქართველებს გვარტომობით, უცხო ტომის ხელში არ გადაგვცემს, რომელთანაც ჩვენ არ გვაკავშირებს როგორც ზემოხსენებული გარემოებანი, ისე არც ენა და არც ზნე-ჩვეულებანი„[12, 83].

თავის მხრივ, სოფელ ჭარების მცხოვრებნი 1922 წლის 23 აგვისტოს დადგენილებით მოითხოვდნენ: „ჭარები გადადის ოსების, სახელდობრ, ცხინვალის აღმასკომზე, რომელიც დაშორებულია ჩვენგან 30 ვერსით, ჩამოდის მდინარე პატარა ლიახვი, რომელმაც მოდიდება იცის პირველი თებერვლიდან სექტემბრის გასვლამდე, ასე, რომ ამ მიზეზით კაცი ვერ გადის ... გარდა ამისა ჩვენ ქართველები ვართ და არ ვიცით ოსური ენა ... ამ მოსაზრებათა გამო, გვინდა არა ოსების, არამედ ტყვიავის რაიონის აღმასკომზე ვიყოთ მიწერილნი, რომელიც ჩვენთან ახლოა“ [12, 83].

ასევე სამართლიანი პრეტენზიებით გამოვიდნენ რაჭის მაზრის წედისის თემის სოფ. წედისის, ქვედის და ირას მცხოვრებთა წარმომადგენლები. ისინი, 1922 წლის 6 სექტემბერს, საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი გაგზავნილ განცხადებაში წერდნენ: „ოსების საზღვრებში მოხვდა ზემო რაჭის თითქმის ყველა სატყეო აგარაკები, სათიბები და სახნავი ყანები, რომელთა შორის უფრო საყურადღებოა წედისის თემის სატყეო აგარაკი, სახნავი და სათიბი ადგილები, რაც ზემოაღნიშნული სოფლების საკუთრებას შეადგენს, ახლა კი ოსეთის განკარგულებაში გადავიდა. უნდა მოვახსენოთ ცენტრალურ აღმასკომს, რომ თუ ის არ მიაქცევს ყურადღებას ასეთს მნიშვნელოვან საკითხს, იძულებული გავხდებით ყველამ თავები დავიხოცოთ და ჩვენი ოჯახები წყალში ჩავყაროთ, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენს აგარაკს, სათიბებს, სახნავ მიწებს ისევ ჩვენ დაგვიბრუნებთ...“ [12, 83-84].

ქსნის თემის წარმომადგენლები, 1922 წლის 21 ოქტომბრის, საჩივარში აღნიშნავდნენ: „გამოგვეცხადა რა, რომ ქსნის თემი გადადის სამხრეთ ოსეთზე, ჩვენ ეს ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია: ა) ცხინვალი დაშორებულია ჩვენს თემზე 50 ვერსით მეტზე და ამ სიშორეზე სიარული საჩივრებისა თუ სხვადასხვა საქმისა გამო შეუძ-

ლებელია, რადგან მოითხოვს მუშა კაცისაგან მოცდენას, წასვლა-წამოსვლაში არა ნაკლებ 3-4 დღისა, რაც დამღუპველი იქნება ჩვენი მეურნეობისათვის; ზამთარში ხომ შეუძლებელი იქნება იქ სიარული, მაშინ როდესაც დუშეთი ჩვენგან 18 ვერსის მანძილზეა... რაც უნდა გაგვიჭირდეს ჩვენ ცხინვალში ვერ ვივლით და ბევრი უსამართლობა და ჩვენი გაჭირვება დარჩება მთავრობას გაუგებარი. ძლიერ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენ მეზობელ სოფლებთან, რომლებიც მდებარეობენ დუშეთისაკენ, გვაქვს ახლო დამოკიდებულება მამულის და სხვა საქმეებისა გამო და ამათთან საქმის მოსაგვარებლად უნდა ვიაროთ დუშეთში და ისინი კი თუ ჩვენზე საჩივარი ექნებათ – ცხინვალში. ამნაირად, სულ აგვეწეწება საქმე, ამიტომ ვთხოვთ მთავრობას მიგვაწეროს ისევ დუშეთს და აგვაცდინოს მრავალი გაჭირვება და უსიამოვნება...“ [12, 84].

ამგვარად, შიდა ქართლის მოსახლეობა დაჟინებით, კატეგორიულად ერთსა და იმავეს ითხოვდა, არ... დაექვემდებარებინათ ისინი ოსთა უკანონო ხელისუფლებისთვის. იგივე პრეტენზიებით გამოვიდა რაჭის და დუშეთის მოსახლეობა.

1923 წლის მარტში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო დადგენილება გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია: „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განიხილა რა გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ნუსხა მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად (თემებად) დაყოფისა და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ ნუსხაში გათვალისწინებულია მხოლოდ ის თემები, რომელნიც გორის მაზრის ფარგლებშია დატოვებული, შედეგად სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ გამოცემული დეკრეტი №2-ისა; ბ) რომ ნუსხაში ჩამოთვლილ თემთა შორის მოხსენებულია აგრეთვე ბორჯომის თემი, მიუხედავად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის მიერ წარსულ წელს მიღებული დადგენილებისა, რომლითაც ბორჯომის რაიონი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულადაა გამოცხადებული; გ) რომ სოფელი რეხა (თბილისის მაზრა) ნუსხით შეტანილი არ არის გორის მაზრის ფარგლებში, წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 1922 წლის 20 ნოემბერს მიღებული დადგენილებისა, რომლითაც სოფელი რეხა გამორიცხულ იქმნა თბილისის მაზრიდან და მიწერილი გორის მაზრაზე და სოფელი გუჯაბაური (ცხინვალის მახლობლად) ნაჩვენები არ არის გორის მაზრის ფარგლებში, რაც არ ეთანხმება №2-ით გამოცემული დეკრეტის ტექსტს სამხრეთ ოსეთის საზღვრების შესახებ, რომლის მეორე მუხ-

ლი ამბობს, რომ სამხრეთით საზღვარი გაივლის „დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურად ჩრდილო-დასავლეთის მხრით“, მიიღო რა მხედველობაში ყველა ეს მოსაზრება დაადგინა: 1) გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ნუსხა მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფისა დამტკიცდეს მასში შემდეგ შესწორებათა შეტანით: ა)ნაცვლად „ბორჯომის თემისა“ ნუსხაში შეტანილი იქმნას „ბორჯომის რაიონი“ და მაშასადამე, თემთა რიცხვი შემცირდეს ერთით ე. ი. მაზრა უნდა შეიცავდეს არა 17-ს, არამედ 16 თემს და 1 რაიონს, ბ) სოფელი რეხა მიეწეროს გორის მაზრის ატენის თემს და გ) სოფელი გუჯაბაური შეტანილი იქნას გორის მაზრის ფარგლებში და 2) პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამმართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო, საერთო საინსტრუქტორო-საინფორმაციო, საფინანსო და მომარაგების განყოფილებებს, აგრეთვე, ჟურნალ „მოამბეს“ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველკვირეული ორგანო – ლ.ს.) რედაქციას“ [13]. დადგენილებას გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ ხელს აწერდნენ: საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი, საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი და ადმინისტრაციული გადანაწილების საკითხთა შესახებ კონსულტანტი გრ. გველესიანი.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გორის მაზრის ფარგლებში ფაქტიურად სავსებით უკანონოდ დაარსდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცალკე ადმინისტრაციული ერთეული ისე, რომ აღნიშნული ერთეულის საზღვრები რეალურად დადგენილი არ ყოფილა. მიუხედავად მოსახლეობის საჩივრებისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული არაერთი დადგენილებისა, გორის მაზრის მრავალი ქართული სოფელი და რაიონი უკანონოდ შექმნილ ავტონომიურ ოლქს დაუქვემდებარეს. სწორედ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული უსამართლო გადაწყვეტილების გამო, ისტორიული შიდა ქართლი, პოლიტიკური პროცესების შედეგად, დღესაც დროებით არის მოწყვეტილი ქართულ მიწა-წყალს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), პოლიტიკურ-

სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბილისი, 2004.
2. ითონიშვილი ვახტანგ, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გამომცემლობა „ლეგია“, თბილისი, 1995.
3. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიცსა), ფონდი 281, აღწერა 1, საქმე №23.
4. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (ყოფილი მლისფპა), ფონდი 14 აღწერა 1, საქმე №309.
5. დადგენილება №30, ჟურნალი მოამბე (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველკვირეული ორგანო), 1921, №15, 10 სექტემბერი.
6. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (ყოფილი მლისფპა), ფონდი 14, აღწერა 1, საქმე №10, კვირკველია ბესარიონ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი), ვ. ხახანაშვილი (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი), მოხსენებითი ბარათი სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის შესახებ (1921 წ).
7. თოიძე ლევან, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999.
8. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (ყოფ. მლისფპა), ფონდი 14 აღწერა 1, საქმე №10.
9. სარალიძე ლელა, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვრების საკითხისათვის (1922 წ). კრებულში: ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XI, თბილისი, 2009.
10. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცსა), ფონდი 14, აღწერა 1, საქმე №278.
11. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (ყოფილი მლისფპა), ფონდი 14, აღწერა 1, საქმე № 263.
12. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი (სუიცსა), ფონდი, 284, აღწერა 1, საქმე №62.
13. დადგენილება გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ, ჟურნალი „მოამბე“ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველკვირეული ორგანო), №49, 29 მარტი, 1923.
14. სონღულაშვილი ავთანდილ, „სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!“, „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
15. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (ყოფილი მლისფპა), ფონდი 14, აღწერა 1, საქმე № 48.

Lela Saralidze
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi state University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Political Situation in Shida Kartli after Autonomous Oblast (Region) Formation

Summary

On the basis of the archive documents and scientific literature analyses the political situation that took place after establishing autonomous oblast in Shida Kartli is studied in the article. It is mentioned that autonomous oblast of so called „South Ossetia" was formed with artificial union of many Georgian villages. From the very beginning the Soviet government was facing difficult aim to form so called „South Ossetia". The difficulties were determined by objective reasons. It should have been worked out on which territory and what kind of autonomy should have to be given to Ossetians, as Shida Kartli, populated with Ossetians as well, was ancient Georgian territory. It is underlined in the article that after forced Sovietisation of Georgia and in the first days of establishing Soviet rule Soviet government did not use the term „South Ossetia". It is also mentioned that the formation of the autonomous oblast was against the will of the native population as well as the resolution of the People's Commissariat of the Ministry of Internal Affairs where obviously was written that the amount of Ossetians in Georgian villages was so small that it was impossible to form it as a separate uyezd.

It is also mentioned in the work that the decision of the Soviet government of possible attaching Tskhinvali to the so called „South Ossetia" autonomous oblast, caused fair anger of Georgian as well as Ossetian population. Georgian population living in the villages of Tskhinvali region and nearby was asking to stay again in Gori uyezd.

On the basis of the archive documents the resolutions of the village council are showing the protest of the Georgian and Ossetian population that was caused by forming illegal autonomous oblast. More than one complaint was sent to People's Commissariat of the Internal Affairs of Georgia, by

which Georgian, Jewish and Ossetian population of Tskhinvali and Shida Kartli villages (Nedleti, Khundisubani, Tighva, Satskheneti, Higher and Lower Okona, Nabakevi, Tkisubani, Akhalsheni etc.) were demanding to stay in natural historical borders. Illegal borders caused great economical as well as administrative problems for the population that is well reflected and seen in their complaints. Because the real history was falsified, these documents for many ears were inaccessible for Georgian scientists.